საქართველოს პარლამენტი

ფრაქცია „ქართული ოცნება“

საქართველოს პარლამენტის აპარატის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს,
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 45-ე მუხლის პირველი პუნქტის, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 99-ე მუხლის პირველი და მე-2 და მე-4 პუნქტების, 101-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 102-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარმოვადგენთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტს „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“. გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული რეგლამენტის პროექტზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დანიშნულია ბატონი ირაკლი ქადაგიშვილი.
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის თანახმად, ვითხოვთ პარლამენტის რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვასა და მიღებას (შესაბამისი წერილობითი დასაბუთება წარმოდგენილია განმარტებით ბარათში).

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

პატივისცემით,

მამუკა მდინარაძე

ფრაქციის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტი
№ 07-3/76
"09" 06 2021
5 ფურცელი

თბილისი 0114, რუსთაველის გამზ. №8 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ-ფოსტა: contact@parliament.ge